



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/50

ქ. თბილისი

26 ნოემბერი 2021

უცხოენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე შრომის ანაზღაურების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/166 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:


1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხოენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური, მასწავლებელთა პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურება განისაზღვროს დაკავებული თანამდებობის შესაბამისად განსაზღვრული შრომის ანაზღაურების 1,5 კოეფიციენტზე ნამრავლის ოდენობით;

2. დადგენილება გავრცელდეს 2021 წლის 01 ნოემბრიდან დასაქმებულ პირებზე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბოციძე